საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ნინო ხარიტონაშვილის* **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	18	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	23	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	20	20
პროფესიული თვისებები	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	10	10
პროფესიული აქტივობა	5	5
ქულათა ჯამი	91	100

სახელი, გვარი: ლევან მიქაბერიძე

თარიღი : 09.07.2021წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 2 ნოემბრის #1/138 განკარგულების საფუძველზე გამოცხადებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესაჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის

ნინო ხარიტონაშვილის

შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		**კომენტარი**
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის შეფასებას საფუძვლად უდევს „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 34[2] მუხლით დადგენილი წესით მოძიებული ინფორმაცია, მასთან ჩატარებული საჯარო გასაუბრება, ასევე, თავად კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამეცნიერო თუ სამართლებრივი დოკუმენტები. კეთილსინდისიერების კრიტერიუმებით კანდიდატის შეფასება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის თანახმად, ეფუძნება ამავე კანონის 36[3] მუხლით გათვალისწინებულ მახასიათებლებს, კერძოდ, *პიროვნულ კეთილსინდისიერებასა და პროფესიულ სინდისს; დამოუკიდებლობას, მიუკერძოებლობასა და სამართლიანობას; პიროვნულ და პროფესიულ ქცევას; პიროვნულ და პროფესიულ რეპუტაციას; ფინანსურ ვალდებულებას.* **<u>პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის</u>** <u>მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი როგორც მოქალაქისა და მოსამართლის</u>
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

		<u>პატიოსნება და კეთილსინდისიერება, პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, გამჭვირვალობა და ა.შ..</u> მოძიებული ინფორმაციის გაანალიზების შედეგად შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ნინო ხარიტონაშვილი სათანადო პასუხისმგებლობით ასრულებს მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს. საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის დაკისრებიული ადმინისტრაციული სახდელები კანიდიდატს დაფარული აქვს კანონმდებლობით დადგენილი ვადის დაცვით. კანდიდატი ჯეროვნად ასრულებს ფინანსურ ვალდებულებებს, მას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება, აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. ნინო ხარიტონაშვილი რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში შპს „მიდვეი კაფეს“ 25%-იანი წილის მფლობელ პარტნიორად. საჯარო მოსმენის მიმდინარეობისას ნინო ხარიტონაშვილმა გამოავლინა კორექტულობა, თავაზიანობა და თავშეკავებულობა. თავის მოსაზრებებს აფიქსირებდა ღიად. <u>**დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის**</u> მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ რეკომენდატორები და გამოკითხული კოლეგები ხაზს უსვამენ კანდიდატის სამართლიანობას, გულისხმიერებასა და პრინციპულობას. პოლიტიკური თუ სხვა ნიშნით კანდიდატის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე ნათელი გახდა, რომ ნინო ხარიტონაშვილი არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი, მხარდამჭერი ანდა შემომწირველი. საჯარო მოსმენის მიმდინარეობისას კი მას არ გამოუვლენია რაიმე სახის შეუწყნარებლობა ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფის მიმართ. შესაბამისად, კანდიდატი შესაძლებელია ჩაითვალოს პოლიტიკური თუ სხვა ნიშნით მიუკერძოებლად.

		<u>პიროვნული და პროფესიული ქცევის</u> მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას აღსანიშნავია, რომ საჯარო მოსმენის პროცესში კანდიდატმა კოლეგებთან ურთიერთობისას გამოავლინა თავაზიანობა, თავშეკავებულობა, პატივისცემა თანამოსაუბრეთა მიმართ და ა.შ.. საქართველოს ნოტარიუსთა პალატის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე გამოირკვა, რომ ნინო ხარიტონაშვილის მიმართ დისციპლინური დევნა არ განხორციელებულა. რაც მეტყველებს კანდიდატის მიერ შესაბამისი ეთიკის წესების სათანადო დაცვაზე. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, ნინო ხარიტონაშვილის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა, ასევე, ის არ წარმოდგენილა დაზარალებულად. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად კანდიდატი მოსარჩელედ მონაწილეობდა 4 სამოქალაქოსამართლებრივ დავაში, ხოლო მოპასუხედ- ერთ საქმეში. კანდიდატის <u>პიროვნულ და პროფესიულ რეპუტაციასთან</u> დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ რეკომენდატორები და გამოკითხული კოლეგები კანდიდატს აფასებენ დადებითად. მათ მიაჩნიათ, რომ ნინო ხარიტონაშვილი სრულად აკმაყოფილებს კეთილსიდნისიერების კრიტერიუმს. რესპოდენტები გამოარჩევენ კანდიდატის გულისხმიერებას, სამართლიანობას, პასუხისმგებლობის გრძნობას, ანალიზისა და მოსაზრებათა მკაფიოდ ჩამოყალიბების უნარს, კრიტიკის მიმღეობას, სიახლეებზე სწრაფად რეაგირების უნარს, პრინციპულობას და ა.შ.. თუმცა, ზოგიერთი რეკომენდატორი მიუთითებს კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებს, კერძოდ, ერთ-ერთი რეკომენდატორის მითითებით კანდიდატს შეუძლია ხისტად დაიცვას საკუთარი პოზიცია. თუმცა, პრობლემის გაანალიზების შემდეგ შეუძლია დაინახოს

			პოზიციის ნაკლოვანებები და აღიაროს სხვისი უპირატესობა. ხოლო, მეორე რეკომენდატორის აზრით კანდიდატის სისუსტეს წარმოადგენს მისი ზედმეტი მორიდებულობა. ფინანსური ვალდებულების მახასიათებელთან დაკავშირებით შესაძლებელია ითქვას, რომ კანდიდატი მათ ასრულებს ჯეროვნად და კეთილსიდნისიერად. მას სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. ის რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში შპს „მიდვეი კაფეს“ პარტნიორად. ამდენად, კანდიდატის ფინანსური ვალდებულებების შემოწმების შედეგად არ გამოვლინდა ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების საფუძველი, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მოსამართლის მიუკერძოებლობას. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ ნინო ხარიტონაშვილი სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილ კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.
მოსამართლეობის კანდიდატის	**შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით**		**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	**18**	**25**	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებების სამართლის (მათ

			<u>შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის) მის მიერ ცოდნის დონე.</u> აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას მხედველობაში იქნა მიღებული საჯარო მოსმენის მიმდინარეობისას კანდიდატის მიერ გამოვლენილი სამართლებრივი ნორმების ცოდნის დონე და პუბლიკაციებში გამოყენებული სამართლებრივი დასაბუთება. საჯარო მოსმენის პროცესში სხვადასხვა სამართლებრივ საკითხთან დაკავშირებით კანდიდატის მსჯელობის შეფასების შედეგად შესაძლებელია ითქვას, რომ ის დამაკმაყოფილებელ დონეზე ფლობს ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. ხოლო, სამოქალაქო სამართლის მიმართულებით კანდიდატს გაუჭირდა გარკვეულ საკითხებზე სათანადოდ ამომწურავი და სამართლებრივად დასაბუთებული მსჯელობის განვითარება. გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატმა იმსჯელა საქართველოს კონსტიტუციასთან, ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეულ სამართლებრივ საკითხებზე მისი მსჯელობა იყო ლაკონური. ამასთან, ზოგიერთ საკითხთან მიმართებით კანდიდატს გაუჭირდა შესაბამისი სამართლებრივი ნორმების გახსენება. საჯარო მოსმენის პროცესში ნათელი გახდა, რომ კანდიდატი პერიოდულად ეცნობა ეროვნულ სასამართლო პრაქტიკასა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. კანდიდატის სამართლებრივი პუბლიკაციის გაცნობის შედეგად შესაძლებელია ითქვას, რომ მისი სამართლებრივი დასაბუთება არის თანმიმდევრული და სტრუქტურული, ასევე

			მის მიერ გამოყენებული მასალა არის რელევანტური სტატიაში განხილული საკითხის საფუძვლიანი მიმოხილვისათვის.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	23	**25**	<u>მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას მხედველობაში მიიღება მის მიერ წარმოდგენილ სამართლებრივ ნაშრომში გამოყენებული სამართლის ნორმების გამოყენების სისწორე, ასევე გამოვლენილი ანალიტიკური აზროვნების უნარი, პროფესიული გამოცდილება და ა.შ..</u> მოძიებული ინფორმაციის თანახმად კანდიდატს აქვს 17-წლიანი პროფესიული გამოცდილება. საჯარო მოსმენის დროს კანდიდატის მიერ დაფიქსირებული ინფორმაციის თანახმად, ამჟამად ის არის მოქმედი ადვოკატი. უნდა აღინიშნოს, რომ მისი პროფესიული გამოცდილება არ მოიცავს სამოსამართლო საქმიანობის განხორციელებას. კანდიდატის მიერ წარომდგენილი პუბლიკაციის „მესამე პირების ჩართვის მნიშვნელობა სამოქალაქო სამართალში“, გაცნობის შედეგად უნდა აღინიშნოს, რომ მას გააჩნია მოძიებული ინფორმაციისა და საკუთარი პოზიციის მკაფიოდ, დასაბუთებულად და დამაჯერებლად განვითარების უნარი. კანდიდატს ნაშრომში გამოყენებული აქვს სხვადასხვა მნიშვნელოვანი წყარო, ასევე საერთაშორისო რეგულაციები, რაც მეტყველებს მის კვლევით უნარებზე.
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	20	**20**	<u>მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება წერილობით აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი, გამართულად მეტყველების უნარი, სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი და ა.შ..</u> გასაუბრების პროცესში კანდიდატი მსჯელობას ავითარებდა მკაფიოდ, თანმიმდევრულად და დამაჯერებლად. პერიოდულად კანდიდატს ეტყობოდა გასაუბრებით

			გამოწვეული მღელვარება. უნდა აღინიშნოს, რომ მან გამოავლინა განსხვავებული მოსაზრების მოთმინებით მოსმენის უნარი. რაც შეეხება კანდიდატის წერის უნარს, მისი ნაშრომის გაცნობის შედეგად უნდა ითქვას, რომ მას გააჩნია აკადემიური წერის სათანადო უნარები, მისი ნაშრომი სტრუქტურულად აკმაყოფილებს აკადემიური წერისათვის განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, მოძიებულ ინფორმაციას, კანდიდატი იყენებს რელევანტურად. ხოლო, თავის მოსაზრებებს აფიქსირებს გამართულად და დამაჯერებლად. კანდიდატის წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარებს დადებითად აფასებენ მისი რეკომენდატორები და გამოკითხული კოლეგები. ისინი აღნიშნავენ, რომ კანდიდატს აქვს ანალიზისა და მოსაზრებათა მკაფიოდ ჩამოყალიბების კარგი უნარი.
პროფესიული თვისებები	15	**15**	<u>აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პუნქტუალურობა, შრომისმოყვარეობა, დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, მენეჯერული უნარ-ჩვევები და ა.შ..</u> მოძიებული ინფორმაციის შეფასებით შესაძლებელია ითქვას, რომ კანდიდატი არის შრომისმოყვარე და მიზანდასახული. მას გააჩნია დამოუკიდებლად აზროვნებისა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების უნარი.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	10	**10**	<u>მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას მხედველობაში მიიღება მისი ღიაობა სიახლეების მიმართ, თვითგანვითარების უნარი, პროფესიული წვრთნების პროგრამებში მონაწილეობა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი და ა.შ..</u>

			მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული არაერთ ადგილობრივ და საერთაშორისო პროფესიულ შეხვედრასა და ტრენინგში. კანდიდატი ღია არის სიახლეების მიმართ და აქვს თვითგანვითარების უნარი. მოძიებული ინფორმაციით, კანდიდატმა 2018 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე: „მესამე პირები სამოქალაქო პროცესში“.
პროფესიული აქტივობა	5	**5**	<u>აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, მისი სამეცნიერო და სხვა პუბლიკაციები, იურიდიული პროფესიისა და საზოგადოების წინაშე დამსახურება და სხვა.</u> მოძიებული ინფორმაციის შეჯამების შედეგად შესაძლებელია ითქვას, რომ კანდიდატი არის პრფოესიული კუთხით საკმაოდ აქტიური. კეროდ, ის ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას სხვადასხვა უნივერსიტეტში. ნინო ხარიტონაშვილი მონაწილეობს სხვადასხვა სამართლებრივ პროექტში როგორც მოწვეული ლექტორი და ტრენერი. ასევე, კანდიდატი არის არაერთი სამართლებრივი სტატიისა და მონოგრაფიის ავტორი.
ქულათა ჯამი	91	**100**	
დასაბუთება	ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დასკვნის სახით შესაძლებელია ითქვას, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა კონკურსში მონაწილე კანდიდატის, ნინო ხარიტონაშვილის, შეფასება განხორციელდა „საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის“ 34[2] მუხლის შესაბამისად მოძიებული ინფორმაციის გაანალიზების, კანდიდატის მიერ წარმოდგენილი ნაშრომების		

	შესწავლისა და საჯარო მოსმენის პროცესში მის მიერ გამოვლენილი კომპეტენციის, პიროვნული თუ პროფესიული თვისებებისა და უნარ-ჩვევების შეჯამების შედეგად. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36[3] მუხლით დადგენილი კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად, მივიჩნიე, რომ <u>ნინო ხარიტონაშვილი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს</u>. ხოლო, ამავე კანონის 35[1] მუხლის მე-16 პუნქტით განსაზღვრული წესის თანახმად კომპეტენტურობის კრიტერიუმის თითოეული მახასიათებლის მიხედვით კანდიდატის შეფასების შედეგად მინიჭებულ ქულათა შეჯამებით, ნინო ხარიტონაშვილის ქულათა ჯამმა შეადგინა 91 ქულა.

სახელი და გვარი: ლევან მიქაბერიძე

ხელმოწერა:

თარიღი: 09.07.2021წ.